№ 263 კვირა, 23 ივნისი 1918 წ. № 264

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ხელისმოწერის ფასი: საქართველოში სახლში მიტანით ... თვით 50 კაპ., ...

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

Тифлисъ „Сахалхо Сакме“.

12—29

აწყურისაკენ გერმანიის ჯარის ნაწილები გაიგზავნა. —ოსმალეთის თანხმობით ახალციხისა და ჯავახეთის ლტოლვილები თავის ადგილებზე ბრუნდებიან. — მთავრობის დადგენილებით კიდევ 200 მილიონი მან. ბონებს გამოუშვებენ საქართველოს, ადერბეიჯანისა და სომხეთის სახელით. — სასანიტარო სამართველოდან ეროვნულ ფონდისათვის შემოწირული ორდენები მოიპარეს. — ახტალასა და სადახლოს შუა მატარებელი დაიმსხვრა.

---

## სახელმწიფო თეატრი

კვირას ივნისის 23-ს

პროფესორ კ. მინიარის და კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება ლტოლვილთა სასარგებლოდ

### დიდი ევროპიულ-ქართული

# სიმფონიური კონცერტი

შემდეგი პროგრამით:

ბეტჰოვენი — უვერტიურა „ლეონორა № 3“. ჩაიკოვსკი უვერტ. „რომეო და იულია“.

ბლანჩივაძე — სამხედრო მარში. ახტრაქტი და ლეკური „თამარ ცბიერის“ ოპერიდან.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

ფოცხვერაშვილი საროვოლიუციო მარში. ქურუმთა როკვა და ქარიშხალი „კერპთა დამხობის“ ოპერიდან. ევროპიული და ქართული რომანსები (შემსრულებელნი შემდეგ იქნებიან გამოცხადებულნი). 1201

პროგრამის გარეშე შესრულდება ფოცხვერაშვილის ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული და ლოცვა ქართველი ერისა. ავტორისა განთავისუფლებული ამირანი (თავისუფალ საქართველოს ახალი ღერბი) სურათს დახატავს ა. წუწუნავა.

ბილეთები იყიდება.

---

გულდათუთქული დედა ბარბალე, ძმები იოსებ და ივანე გობეჩიები, დები ნინო ჩხეიძისა და მარიამ სალონიკაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობთ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი

### ვლადიმერ გობეჩიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 23-ს.

---

საქართველოს სოციალ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი და ფრაქცია ამით აუწყებს თანამოაზრეებს, რომ ტრაგიკულად დაღუპულის, ეროვნულ საბჭოს წევრის

### ვლადიმერ გობეჩიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას ივნისის 23-ს.

---

პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსი აუწყებს მოქალაქეთ ვერაგულად მოკლულ საბჭოს წევრის

### ვლადიმერ პავლეს ძე გობეჩიას

უდროოდ დაკარგვას. ცხედრის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან ... ეკლესიაში კვირას ივნისის 23 ს დილის 11 საათზე.

---

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამით აუწყებს რესპუბლიკის მოქალაქეთ, რომ ვერაგულად მოკლულის ამიერკავკასიის ყოფილ სამხედრო მინისტრის და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის

### ვლადიმერ გობეჩიას

გამოსვენება მოხდება კვირას, ივნისის 23-ს, დილის 11 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან.

---

საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალისტ რევოლიუციონერთა ფრაქცია და პარტიის საოლქო კომიტეტი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობართ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი ამხანაგის

### ვლადიმერ გობეჩიას

დაკარგვას. გამოსვენება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიიდან დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დასაკრძალავათ კვირას, 23 თიბათვის წირვის შემდეგ. 1199

---

შვილი ვიქტორ ალექსანდრეს ძე მაჩაბელი მეუღლით, რძლები: ელენე გიორგის ასული, ანნა დიმიტრის ასული და ეკატერინე ნიკოლოზის ასული მაჩაბლისანი შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

### ლიუდმილა ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.

გამოსვენება საკუთარის სახლიდან დილის 10 საათზე, კვირას 23 ივნისს ცხინვალის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა საოჯახო სასაფლაოზე. 665

---

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქცია („ალიონის“ ჯგუფისა) მწუხარებით აუწყებს მოქალაქეთ, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრის

### ვლადიმერ გობეჩიას

ნეშტის გამოსვენება მოხდება კვირას, 23 ივნისს, დილის 11 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან. 1202

---

ქართული მსროლელი პირველი პოლკის ოფიცრები აუწყებენ

### პოდპოლკოვნიკ იასონ მარკოზის მიმინოშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე მიხაილოვის საავადმყოფოში საღამოს 7 საათზე დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 666

---

ლიდა და გიორგი ცინცაძეები და გიორგი ლომინაძე აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ რომ კვირას ივნისის 23-ს, 5 საათზე დანიშნულია პანაშვიდი ბათომში ბრძოლის დროს მოღებული ... ... ლომისაგან გადაცვლილ კორნეტი

### კოწია ლომინაძის

სულის მოსახსენებლად. 1200

---

## დიდი ცირკი

### ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ კაპიტალური სახიმთრო შენობა, ტელეფ. 18—00

დღეს ივნისის 23-ს გაიმართება

არაჩვეულებრივი

### სადღესასწაულო წარმოდგენები

მონაწილეობენ ძმ. რიგო, ლამბერი, ... ელიზაროვი, ბიმ ბომ და ბოლი და სხვ. ... ფრენა და სხვ. ... წარმოდგენა კვირას არ იქნება; მის ნაცვლად ორშაბათს იქნება.

მთავარი ადმინისტრატორი: ა. ეფიმოვი. 667

---

გასტროლი **სახელმწიფო თეატრი** ნინო ჩხეიძისა

ორშაბათს, ივნისის 24 ს

ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის პიესა

### სულელი

სამი მოქმ.

რომელიც ქუთაისში 12-ჯერ დაიდგა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. პიესა აქამომდე ცენზურისგან აკრძალული იყო.

ლიზას როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე, ბარათაშვილს—ახალი, მსახ. შიაურელი.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

ადმინისტრაცია მსახიობთა კავშირისა. 1204

---

## ტფილისის დიდუბის

ღვთისმშობლის ეკლესიის სამრევლო საბჭო პატივისცემით აუწყებს ყველა მრევლთაგანს, რათა კეთილ ინებონ და დაესწრონ კრებას, რომელიც დანიშნულია ეკლესიაში 30-ს ამა ივნისს, წირვის შემდეგ, ორის წარმომადგენლისა და ორის მათი კანდიდატისა საოლქო საბჭოს და საოლქო სასამართლოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 671

---

## ქართულ დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესრე განაწილებული:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი პრემია (ერთი) | — | — | 1000 მან. |
| მეორე პრემია (ორი) | — | — | 700 „ |
| მესამე პრემია (ერთი) | — | — | 500 „ |

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა, ტფილისი. 113

---

## კახეთის მევენახეთა საზოგადოება

# „კახეთი“

მთავარი საწყობის, გამგეობის და კანტორის მისამართი: ტფილისი, გოლოვინის პრ. 63 (სასახლის მახლობლად).

ღვინო — ღვინო

მაღაზია № 1—ერევნის მოედ. (თამ მშ-ვის ქ. ... მაგაზიის ... ).
„ № 2—„მეურნეს“ კოოპ. (ლორის-მელიქოვის ქ. № 1, სემინ. ძველ შენობა).
„ № 3—სახელმწიფო თეატრთან (თეატრის შესახვ. და გოლოვინის პრ. კუთხე).
„ № 4—ოლღას ქ. 10 (ვერის ... თავი, ... მაღაზია).
„ № 5—წყნეთის ქ. 30 (წყნეთის და ... ქ. კუთხე).
„ № 6—ძირკის ქ. 18 (... ვ. ჩხეიძის სახლი).
„ № 7—მიხეილის პრ. 29 (... ).
„ № 8—ვორონცოვის ძეგლთან (რაზიკოვის ქ. 19, ... მიდის).
„ № 9—დიდუბე (ანდრონიკოვის ქ. 18 ... შესახვევთან).
„ № 10—ავლაბარი (კახეთის მოედანი 1, ... სამხედრო ... მდ.).

ყველგან იყიდება პრეისკურანტის მიხედვით ფასი ყველგან ... № 2—3 მანეთი № 3—3 მ. 10 შაური, № 4—4 მ № 6—6 მან. 1205

---

### ვაჟაველით

ქართულ სიმღერა-გალობას

და

ვამზადებთ მომღერალ მგალობლებს დიდ და მცირე სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა ძმ. კავსაძეებთან (ქართულ ბანკში და ქალაქის გამგეობაში).

სწავლა-ვარჯიშობა: ჩოლოყაშვილის ... კლასი. საშუალ. ... სალ. 5—8 ს. გამოცდილი მომღ.-მგალობელნი მიიღებიან ჯამაგირით. 1196

---

### ქართველ მგალობელთა გუნდი

### მ. ა. მოლოდინი

მისამართი: ანჩისხატის ქ № 20 (ანჩისხატის ტაძრის პირდაპირ); ლაპარაკის ნახვა ყოველდღე 3—4 საათ. 651

**ტფილისი. 23 ივნისს 1918 წ.**

**ჩვენი მეხაფლავენი.** ერთის წლის ინტენსიურ ცხოვრების გამო საზოგადოება და ხალხი ძლიერ მოიღალა. მართლაც, რა არ განვიცადეთ, რა ცვლილება არ მოხდა ელვის სისწრაფით ამ წლის განმავლობაში! ამიტომ ბუნებრივია, რომ ხალხი ყოველ გარემოებას ყურადღებით და გაფაციცებით თვალ ყურს ადევნებს: აცა, გათავდა, ეხლა კი დროა მოვისვენოთ. ყოველი მნიშვნელოვანი საპოლიტიკო აქტი დასასვენებელი სადგური ჰგონია და ჰსურს წლიურ მღელვარებისაგან თავი გაინთავისუფლოს. დროებით მაინც. მაგრამ ცხოვრება ულმობელია და განსაკუთრებით დღეს მხარ-თეძოზე წამოწოლას არავის აპატიებს.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადება—აი, ერთი უდიდესი მოვლენა, რომლითაც ვითომ უნდა გათავებულიყო არეულ-დარევა და ჩვენი ცხოვრება კალაპოტში ჩადგარიყო. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. თუ გარეშე საფრთხე ასე თუ ისე მოვიშოროეთ—ახლა შინაგანი გაგვიჩნდა და ჩვენი ნორჩი თავისუფლების დაღუპვას ჰლამობს.

ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც დღე მუდამ გულში ცემით სამშობლოზე ყვიროდნენ და მთლიან ეროვნულ ფრონტის დაცვას მოითხოვდნენ—ეხლა საამშკარაოზე გამოვიდნენ. ეს ადამიანები წინად ამბობდნენ: ჩვენი მიზანია ეროვნული თავისუფლება. ოღონდ იყოს ეს და ჩვენ არ ვიბრძოლებთ ვისთვისმე დარჩენისათვის. სულ ერთია რანაირი იქნება პოლიტიკური წეს-წყობილება, მაგისთვის არავის შევდავებით—გინდ ყველაფერი სოციალისტების ხელში იყოსო. მაგრამ ეხლა, როცა ჰგონიათ (რასაკვირველია სცდებიან), რომ წელ-მომაგრებულნი არიან და ჰაერში რაღაცას ჰყნოსვენ—სხვა ჰანგზე ამღერდნენ და აშკარად, გაბედულად ილაშქრებენ ხალხის და რევოლიუციონურ წრეების წინააღმდეგ. ეს გუშინდელი მონები, რომელთაც პოლიტიკური ლაქიობა ხელობად გაეხადათ—დღეს ხმა-მაღლა გველაპარაკებიან და მიუხედავად იმისა, რომ ვითომ მათი წადილი აღსრულდა, პოლიტიკური თავისუფლება მივიღეთ—მოსვენება არა აქვთ. არასოდეს ამ წარსულ ხანებში ისე საჭირო არა ყოფილა ქართველი ერის მთლიანობა რანაირადაც დღეს. არასოდეს ისე ნად არ ყოფილა დამოკიდებული ჩვენზედვე ჩვენი თავისუფლება—როგორც დღეს. და აი, ამ დროს ნაციონალ-დემოკრატები გამოდიან და ხელს უწყობენ თავიანთი ტაქტიკით იმ არევ-დარევის გაძლიერებას, ჩვენს რესპუბლიკას როინ სავალეს უმზადებს. ეხლა აშკარად გამოჩნდა, რომ „ეროვნულ"-დემოკრატები თავიანთ კლასიურ ბატონობას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე საქართველოს კეთილ-დღეობას. ჩვენ, სოციალისტებს გვიკიჟინებენ—კლასიურ ნიადაგზე დგეხართ და ქვეყანას ამით ჰღუპავთო. თუნდ ეს მართალი იყოს, ჩვენ ვდგევართ ხალხის ინტერესების ნიადაგზე, ე. ი. მტრის უმრავლესობას უწევთ ანგარიშს. ჩვენი თვალსაზრისით არსებითად სოციალისტურთან ერთად ეროვნულიც არის, ვინაიდან შეეხება ერს, მის უმრავლესობას. ხოლო ნაციონალ-დემოკრატები ერთი მუჭა ფეოდალების ინტერესებისათვის ჩვენ გვისაყვედურებენ და თავხედურად მოითხოვენ ხელი ავიღოთ ჩვენს მისწრაფებებზე. ეს ციხის შიგნითგან გატეხაა და შეიძლება მიაღწიონ კიდევაც მიზანს. მაშინ ერთხელ კიდევ დამტკიცდება ძველი ჭეშმარიტება—ბურჟუაზია, ფეოდალები და საზოგადოდ შეძლებული კლასები ვერასოდეს გასწევენ ერის მესვეურობას და ყოველთვის საკუთარ ინტერესებს უფრო მაღლა დააყენებენ ერისაზე.

ჩვენ უფრო მჭიდროდ უნდა შემოვკრბეთ რევოლიუციონურ დროშის გარშემო—რადგან ჭეშმარიტად დღეს ეს ნამდვილი დროშაა საქართველოს სუვერენობისა და ბრწყინვალე მომავლისა. ხოლო ქართველი ხალხი ჯერ იმდენად ძლიერია, რომ არ აჰყვება და ბოლოს მოუღებს ყველა მათ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად სცდილობს დაასამაროს ამდენი ხნის სანატრელი პოლიტიკური და სოციალური თავისუფლება.

ყველა გრძნობს და ხმა მაღლა აცხადებს, რომ საბედისწერო დროში ვცხოვრობთ, ყველა მოითხოვს მთავრობისაგან საგანგებო ზომების მიღებას და მით რევოლიუციის და ქვეყნის გადარჩენას.

ამ საქმეში ორი აზრი არ არსებობს ყველა ის ვინც დაინტერესებულია ქვეყნის ბედით, ვალდებულია ამ საქმეში პირადი და ჯგუფური ინტერესები დაივიწყოს და სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანოს თავისი პირადი კეთილდღეობა.

მაგრამ საკმაო არ არის საფრთხის მხოლოდ შეგნება, საჭიროა ჩვენ სურვილს ხორცი შევასხათ და განსაკუთრებულ გაჭირების წინააღმდეგ განსაკუთრებულ ზომებს მივმართოთ. ამისთვის კი საჭიროა მთავრობის აპარატის შესაფერისად მოწყობა. ჩვეულებრივი კონსტიტუციონური მოღვაწეობა დროებით უნდა შევსცვალოთ განსაკუთრებული საგანგებო მოქმედებით. მთავრობის სათავეში უნდა დავაყენოთ მთელი დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი პირი და ამ უკანასკნელს საგანგებო, დიქტატორის უფლებები უნდა მივანიჭოთ. ეს უნდა ქნას საქართველოს ეროვნულმა საბჭომ. სახელმძღვანელოთ უნდა გავიხადოთ პრინციპი: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა. ამ პრინციპის ძალით მთავრობის დაწესებულებებიდან უნდა გავრეკოთ ის პირები, რომელნიც ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან. მოღალატეები და ხელის შემშლელები კი სასტიკათ უნდა იქნან დასჯილნი.

ჩვენ არ ვამბობთ, ვითომ სასტიკ ზომებით შეიძლებოდეს წაგებული საქმის გამოკეთება. და ხალხი რომ რევოლიუციის და მის მონაპოვართა წინააღმდეგი იყოს, ჩვენც დაუყოვნებლივ დავყრიდით იარაღს.

მაგრამ ეს ასე არაა. ხალხის ფართო მასას სწყურია მშვიდობიანობა და ამ რეფორმებიდან, განსაკუთრებით მიწის რეფორმიდან, გამოელის ხსნას. დემოკრატიის მტრები კი მას წინ ეღობებიან და ანარქიის გაძლიერებით ფიქრობენ მის დამონებას.

აი ამ ხალხის მტრების წინააღმდეგ უნდა ავამუშავოთ ყველა ჩვენი ძალები. ამისთვის უნდა შევქმნათ ძლიერი ცენტრალისტური მთავრობა და განსაკუთრებული უფლებებით აღვჭურვოთ ის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როცა ყველა სოციალისტური და რევოლიუციონური პარტიები უნდა შეერთდენ საშინელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

## ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" მეთაურში აღნიშნავს საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობას და საჭიროდ მიაჩნია დიქტატურა.

## ჩვენი ფინანსები

დამოუკიდებელ საქართველოს წინაშე მრავალი საკითხია წამოჭრილი. მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება მოითხოვს სასწრაფო და პასუხსაგებ ნაბიჯების გადადგმას. დღევანდელი მომენტი მოითხოვს დიდის ენერგიით მუშაობას სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად; ამავე დროს საჭიროა საამშენებლო მუშაობა ცხოვრების ყოველ დარგში.

რასაკვირველია, ყველა დარგში საქმის მოწყობა მეტად რთული და ძნელია, ვინაიდან ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში გვიხდება მუშაობა. მაგრამ მეტად გართულებულია მდგომარეობა ფინანსების დარგში.

ჩვენ ერს ყოველთვის არა ჩვეულებრივ პირობებში უხდებოდა მუშაობა და ეხლაც საქართველოს სახელმწიფოებრივი აპარატი მეტად ცუდ მდგომარეობაშია ფინანსების მხრივ.

რუსეთის საქმეების ლიკვიდაცია ამიერკავკასიაში ჩვენ დაგვატყდა თავს. ამიერკავკასიის ჯარის გასტუმრება, ომთან დაკავშირებულ დაწესებულებების ხარჯების გასტუმრება ჩვენ დაგვაკისრეს. დანარჩენი, საერთო ამიერკავკასიის ეგრეთ წოდებული „კრაევოი" დაწესებულებების ლიკვიდაციაც ჩვენ გვიხდება, ეს ხდება ფაქტიურად. ჩვენ მეზობელ ერებს სახელმწიფოებრივი ფიზიონომია ჯერ არ გამოურკვევიათ. უფრო მეტიც, მეზობელი ერები არამც თუ არ გვიწევენ დახმარებას ამ ლიკვიდაციაში, არამედ ჩვენ იძულებული ვართ პირობების გამო ამ ერების სახელმწიფოები ჩვენი ფულით შევინახოთ: ფული თუმცა საერთო სახელით იბეჭდება, მაგრამ ფაქტიურად კი ჯერ ჯერობით პასუხის მგებელნი მხოლოდ ჩვენა ვართ.

ამიერკავკასიის სახელით 300 მილ. მანეთის ბონები გამოშვებული. ეს ფული რომ გამოილევა, ჩვენ იძულებული ვიქნებით კიდევ ამ გვარ წყაროს მივმართოთ თუ სხვა საშუალება არ მოგვეცა. მაგრამ ყველამ იცის, რომ საბეჭდავი მანქანის მუშაობა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სახელმწიფოებრიობა განამტკიცო, არამედ საჭიროა საფინანსო საქმეების მოგვარება ისე, რომ სახელმწიფოს გასავალი შემოსავალს უდრიდეს.

საშუალება ამისათვის ის არის, რომ დღესვე გულახდილად უნდა უთხრას მთავრობამ ხალხს, რომ თუ ხალხი არ დაეხმარება მთავრობას საფინანსო საქმეების მოგვარებაში, ის ძირს გაუთხრის თავისსავე თავს. ამას გარდა მთავრობამ უნდა დაანახოს ხალხს ის ძალა, რომელიც აგრძნობინებს ხალხს მთავრობის არსებობას: რომ არსებობს ისეთი მთავრობა, რომელსაც ძალუძს გადაახდევინოს გადასახადი.

მაგრამ ეს არ კმარა. ძველი ნორმებით მოკრეფილი გადასახადი არ დაჰფარავს სახელმწიფოს ხარჯებს და არც ისე სწრაფად შეიძლება გადასახადების მოკრება. საჭიროა და უფრო საჩქაროდ შეიძლება შინაური სესხის მოწყობა.

სესხის მოწყობა რომ შესაძლებელი გახდეს, საჭიროა ხალხი თვითონ დაეხმაროს მთავრობას; საჭიროა ხალხს შევაგნებინოთ, რომ ეს მისივე ხსნაა: **ეს ის საშუალებაა, რაც ფულს ფასს არ უკარგავს**, და თუ ჩვენმა მთავრობამ შესძლო, მაგალითად, 100 მილიონის სესხის განახდება, იგი 100-150 დღეს შესძლებს ამ ფულით სახელმწიფოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამ ხნის განმავლობაში კი მთავრობა შესძლებს ახალი ფინანსიური სისტემის შემუშავებას, რომელიც მტკიცე და საფუძვლიან ნიადაგზე იქნება დამყარებული. ეს ნიადაგი არის ჩვენი ავლა-დიდება, ჩვენი ქონება, რომლის გამორკვევაა საჭირო და ამას დრო უნდა. ეს ნიადაგი იქნება ისიც, რომ იმ დრომდე ჩვენ შევსძლებთ საქართველოს ცხოვრების ისეთ კალაპოტში ჩაყენებას, როდესაც არ იქნება მარტო ხარჯი, არამედ შემოსავალიც. ეს იგი იქნება ბიუჯეტი და მასთან ერთად, გარეშე სესხის მოწყობაც უფრო სასარგებლოდ ჩატარდება ჩვენთვის და ეს სესხი იქნება მაძართული საწარმოო ძალთა ასამოძრავებლად, რაც შექმნის საქართველოს ახალ და ახალ ღირებულებათ.

ასეთი არის ეს გზა და თუ მთავრობა ამაში გაბედულ, მტკიცე და გარკვეულ ნაბიჯს გადადგამს, დაუჭიროთ მას მხარი ყოველის ღონით. ნუ ვიგვიანებთ, ჩვენი საქმეები ჩვენვე მოვწყოთ საჩქაროდ, ასე უფრო ადვილად და ნაყოფიერად შევსძლებთ საგარეო პოლიტიკის წარმოებას.

მ. ყაუხჩიშვილი.

## მთავრობაში

სურსათის მინისტრის ამხანაგი პ. ი. საბაშვილი გაიგზავნა გორის მაზრაში პურის მოსატანად.

—

მთავრობამ დაადგინა: შუამდგომლობა იქმნას აღძრული ეროვნულ საბჭოს წინაშე კიდევ 200 მილიონის მანეთის ბონები იქმნას გამოშვებული, მაჰმადიანთა და სომეხთა ეროვნულ საბჭოების თანხმობით და საზოგადო პასუხისმგებლობით.

—

**ტფილისი**, ივნისის 22. გზათა სამინისტროს ბრძანებით დათხოვნილი არიან ამ.-კავკ. რკინის გზის სამსახურიდან, თანახმად მათი თხოვნისა: გზათა უფროსის თანაშემწე ინჟ. ი. ბორშჩევსკი; აგრეთვე ი. კოზლოვსკი, ვლ. რეტელსკი, ნ. ალფონსკი, მონდეევი და ი. მაჰავარიანი. დაინიშნენ ი. მაჰავარიანი—კახეთის რკინის გზის საკომერციო სამართ. უფროსად; კახეთის რკ. გზის გამგეობის საქმეების მწარმოებელი გიორგი ფიცხელაური—გზათა სამინისტროს საზ. საქმეების გამგედ, 1918 წ. 1 ივნისიდან; ნ. ფიცხელაური და ჩრდილო-დასავლეთის რკ. გზის იურისკონსულტის თანაშემწე კონსტ. მიქელაძე—გზათა სამინისტროს იურისკონსულტად.

## გერმანელები საქართველოში.

**ტფილისი.** ივნისის 21. საქართველოს მთავრობის თხოვნით გერმანიის სამხედრო კომისიამ თავისი ჯარის ნაწილები გაგზავნა ბორჯომისაკენ, რათა აქედან ახწყურში გაემგზავრონ და გასწმინდონ ეს ადგილები ყაჩაღ მუსულმანთა ბრბოებისაგან.

—

**ტფილისი.** ივნისის 22. გასულ შაბათს სანდართან გმირულად დაღუპულ წითელ რაზმელების დაკრძალვას ვერ დაესწრნენ გერმანიის სამხედრო მისიის წარმომადგენლები. რადგან იმ დღეს სანდართან დაღუპულ მებრძოლ ჯარისკაცებს ასაფლავებდნენ და მათთვის არც კი შეუტყობინებიათ რომ ქართველ რაზმს ასაფლავებდნენ. ამის გამო გერმანიის სამხედრო კომისია თავის მწუხარებას გამოსთქვამს და სთხოვს საქართველოს მთავრობას მომავალში თავის დროზე აუწყოს, რომ მან შესძლოს თავის წარმომადგენლების გაგზავნა.

—

**ტფილისი** ივნისის 22. რადგან გერმანიის სამხედრო კომისიაში მრავალი თხოვნა შემოაქვთ ნება დაგვრთეთ და ყარსის რკ. გზით გაგვიშვითო, კომისია იტყობინება, რომ ამ გვარ ნებართვას ის არ იძლევა, ამისათვის უნდა მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს ამგვარი ნებართვის გაცემა.

## მთავარ-სარდლის ბრძანება.

ივნისის 22-ს. სამხედრო ავიატორმა კაპიტ. რუსანოვმა მოინდომა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში სამსახური და ივნისის 20-ს მიიღო ბრძანება ზვერვა მოეხდინა ერთ-ერთ რაიონში. კაპიტანმა არა თუ აასრულა თავისი მოვალეობა, არამედ ის უკანაც არ დაბრუნდა. ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაში გაფრინდა, მწუხარებით აღვნიშნავ ამ ფაქტს, და ვამტკიცებ რომ ასეთი ოფიცერი როგორც წარსულში იყო ისე მომავალში არ იქნება მტკიცე თავის მოვალეობის ასრულებაში; ზომები კაპიტან რუსანოვის მოსაძებნად მიღებულია და ის სათანადოდ იქნება დასჯილი. ამ შემთხვევაში რუსანოვმა რუს ოფიცერთა განთქმული გმირობა რუსეთის ბრწყინვალე ისტორიაში დაარღვია.

გენერალ-მაიორი კვინიტაძე.

## ლტოლვილთა მდგომარეობა

(დეპეშა)

**ბაკურიანი.** ივნისის 21. მოწოდება. ასი ათასი ლტოლვილნი, უსახლკარო, მშიერი და ავადმყოფი ლტოლვილები უკიდურეს განსაცდელში არიან მშიერნი, ციებ ცხელება, კვნესა და ცრემლები შიმშილი დახმარებას ითხოვს. ლტოლვილთა დამხმარე ბაკურიანის კომიტეტი უთოვ ჩქარა სთხოვს რესპუბლიკის მოქალაქეებს ძმური დახმარება აღმოუჩინონ უდღეგრძელო. უძნელებელო, მცირედი დახმარებაც სასიხარულოთ იქნება მიღებული. თვითეულს კაპიკსა შეიძლება ზნეობრივი კმაყოფილება მაინც აგრძნობინოს მშიერ-უპატრონოთ, თუ განსაცდელისაგან არ იხსნის. მიიღება თეთრეული, შაქარი, ჩაი, ბრინჯი და სხ. ყოველგვარი შეწირულება უნდა გაიგზავნოს ტფილისში ქართულ და სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებათა სახელობაზე. კომიტეტი წინდაწინვე უძღვნის შემომწირველთ უღრმეს მადლობას.

ლტოლვილთა დამხმარე ბაკურიანის კომიტეტი

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** ივნისის 21. სამხედრო ცნობა.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი:** მტერი განაგრძობს მთელ ფრონტზე ძლიერ იერიშებს. ალბერის ჩრდილოეთით ინგლისელების იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** ფრანგების იერიშებს ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით და ამერიკელებისას შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით არავითარი ნაყოფი არ მოუტანია. ფრანგები და ამერიკელები დიდად დაზიანდნენ. ჩვენ ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ იტალიელები დავატყვევეთ. ვესლის ქალაში ბრიელსა და მონტინის შუა ფრანგებსა ორჯერ დაუშინეს ყუმბარები საჰოსპიტლო დაწესებულებებს.

**პარიზი.** ივნისის 20. მონ-დიდიერსა და უაზის შუა და ენის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

### პალესტინის ფრონტი.

**სტამბოლი.** ივნისის 21. ჩვეულებრივი სამხედრო მოქმედებაა. ორივე მხრით არტილერია მოქმედებს. მრავალი საჰაერო ბრძოლა იყო.

## ადერბეიჯანის მთავრობა

**ტფილისი**, ივნისის 21. ადერბეიჯანის ახალ მთავრობაში ძველი მინისტრებიდან შევიდნენ თავმჯდომარე ხან-ხოისკი, მ. გაჯინსკი, უსუბეკოვი, ხასმამედოვი, ექიმი სულთანოვი და მელიქ-ასლანოვი; ახალი მინისტრები: თოფჩიბაშევი, ბეჰბუდ-ხან-ჯავანშირი, ექიმი რაფიბეკოვი, ალა-აშუროვ-ემირჯანოვი და ექიმი რაფიევი. მთავრობას ეროვნულმა საბჭომ დირექტივები მისცა: დაიცვას ადერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლებანი; მოიწვიოს არა უგვიანეს 6 თვისა დამფუძნებელი კრება; მთავრობას უფლება არა აქვს გააუქმოს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების და ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული კანონები.

## ახალი ამბავი

**ვლ. გობეჩიას დაკრძალვისათვის.** დღეს ასაფლავებენ ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრს და ეროვნულსაბჭოს წევრს ვლ. გობეჩიას. დილის 9 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი შემდეგ 11 ს. მიცვალებულს წაასვენებენ დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში და დაკრძალავენ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

**გერმანიაში წასვლისათვის.** კავკასიელებმა, რომელთაც გერმანიაში წასვლა უნდათ გერმანიის საელჩოს უნდა მიმართონ.

**საზღვარ-გარედ წასვლისათვის.** უკანასკნელ დროს რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა ოსმალთა საელჩომ არ შეამოწმა საგარეო სამინისტროს მიერ საზღვარ გარედ წასასვლელად მიცემული მოწმობები. ამის შესახებ გავლენიანმა პირმა ერთ ჟურნალისტს განუცხადა, რომ საგარეო სამინისტრო ბოლო ხანებში ძალიან ბევრ ნებართვას აძლევდა უცხოეთში წასასვლელად.

**ბაკურიანიდან ჩამოსული მასწავლებლის სიტყვით ბაკურიანში** ლტოლვილთა შორის სხვა და სხვა ავადმყოფობა გავრცელდა. ოსმალეთის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების შემდეგ ლტოლვილები უკან ბრუნდებიან ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში. დარჩენილი ლტოლვილები უკიდურეს მდგომარეობაში არიან.

**გერმანიის სამხედრო საელჩომ** ნავთის კრიზისის გამო მთავრობას თხოვნით მიმართა აუწყოს მიღებული არის ზომები თუ არა რკინის გზაზე უზრუნველყოფისათვის და შესაძლებელია თუ არა ორთქლმავლებისათვის ნავთის ხმარება.

**მატარებლის დამსხვრევა.** ივნისის 20-ს სად. ახტალასა და სადახლოდან გაიგზავნა 2 მატარებელი, წინასწარ არ გაუფრთხილებიათ ტელეფონით. მე-83 ვერსზე მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა ერთი ორთქლმავალი 4 ვაგონით ერთიანად დაიმსხვრა დასახიჩრდა 19 კაცი.

**ორდენების მიპარვა.** სამხედრო სასანიტარო სამართველოდან ამ დღეებში მოიპარეს მთავარსარდლის მოწოდებით შეწირულ 269 სხვა და სხვა ღირსების ორდენი.

**ტრანსპორტი „ლივოტოსი"-ს შესახებ.** შავი ზღვის რკინის გზის რწმუნებულის შუამდგომლობის თანახმად ტრანსპორტ „ლივოტოს"-ის დაბრუნებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უპასუხა, რომ ამ ტრანსპორტის ბარგს არ დაუბრუნებს, რადგანაც ჩვენმა მომსპობმა გემმა ეს ტრანსპორტი ბოლშევიკებს წაართვა წითელ რაზმელების დახმარებით.

**ქურდობა.** ივნისის 21-ს ღამით ვ. პეტროსიანის ბინიდან ლერმონტოვის ქუჩა № 9, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ძვირფასი საგნები, სულ 100,000 მანეთის.

**ტფილისის დამცველმა შტაბმა შეიპყრო:** სახაზინო ტყავის მითვისებისათვის თ. სავენკო; პოლკის ხაზინის გაძარცვისათვის ჯ.-კ. მიხ. ასლამაზიანცი, სახაზინო ქონების გაფლანგვისთვის—მოხელე პ. ნიკოლაენკო; კაცის მოკვლისთვის გოცირიძე.

**ქართველ მწერალთა კავშირის** კრება დანიშნულია საშაბათს ივნისის 25 საღამოს 8 ს., ქართველ მსახიობთა კავშირის კანტორაში.

**საქართველოს რესპუბლიკის** ღერბი და ჰიმნი, დღეს ფოცხვერაშვილის კონცერტის წინ სახელმწიფო თეატრში გაიმართება ცოცხალი სურათი აპოთეოზი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ახალ ღერბს (განთავისუფლებულ [illegible]). სურათის დროს ორკესტრი შეასრულებს ქართულ [illegible]. კონცერტზე მოწვეულნი არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

**კრება.** ორშაბათს, ივნისის 24-ს, დილის 11 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11, დანიშნულია საზოგადო კრება დამოუკიდებელთა კავშირის წევრთა (უპარტიოთა), რომელზედაც დ. კარიჭაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ეროვნული კითხვა და ნაციონალიზაცია"

**სადგილმამულო რეფორმა თელავის მაზრაში.** აგრარულ რეფორმის განხორციელების ნიადაგზე უთანხმოებამ იჩინა თავი სადგილმამულო კომიტეტებსა მიწად-მფლობელებს შორის უკმაყოფილება გამოწვეულია იმის გამო თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს საძოვარი ადგილები.

**გერმანიის სამხედრო კომისია** აცხადებს: გუშინ, „ბორბაში" ცნობა იყო, დიდუბეში ცეცხლის ადგილას ავტომობილით მომავალ წითელ-რაზმელებს ორი უცნობი დაეცა გერმანულ ტანისამოსით; ისინი დაატუსაღეს და გერმანელების შტაბში წაიყვანესო. გერმანიის სამხ. კომ. აცხადებს, რომ შტაბში არავინ მოუყვანიათ და შტაბმა ამ ფაქტის შესახებ არაფერიც იცის გერმანიის კანონებით ამ გვარი დანაშაულობისათვის სასტიკად სჯიან.

**სიმფონიური კონცერტი ქართულ კლუბში** ხვალ ივნისის 24-ს საღამოთი დანიშნულია სიმფონიური კონცერტი ტფ. კონსერვატორიის ყოფილ დირექტორის ნ. დ. ნიკოლაევისა. კონცერტზე შესრულებულ იქნება როგორც თვით ნიკოლაევი ისე ბახ-ბუზონის, შოპენისა და ლისტის ნაწარმოებნი. ორკესტრს ხელმძღვანელობს თვით ავტორი. სოლოს ვიოლონჩელზე შეასრულებს ე. ნ. კოპელნიცკი.

**პროვოკაცია.** ამ სამი დღის წინად პირველ სამილიციო ნაწილში დავიდოვის ქუჩაზე დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქე ნიკოლოზ მარტიროსიანცი, რომელიც ქუჩაში პროპაგანდას ეწეოდა და საქართველოს დამოუკიდებლობას აგინებდა და ლანძღავდა უშვერის სიტყვებით. მარტიროსიანცი ამ უმზგავსო საქციელისათვის ერთი დღე და ღამე ციხეში დააპატიმრეს.

**ბიბლიოთეკები.** ორშაბათს ივნისის 24. საღამოს 6 საათზე. ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. კანცელარიაში დანიშნულია ტფილისში არსებულ ბიბლიოთეკების: (ვერის, ავლაბრის, კუკიის, დიდუბის, ნავთლუღის და ნაძალადევის) სამზრუნველო კომიტეტების წარმომადგენელთა და თვით ბიბლიოთეკების გამგეთა კრება. განსახილველი საგანი: 1) ბიბლიოთეკების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, 2) სასურველი ორგანიზაციის მოწყობა მართვა-გამგებლობის მხრით და სხვა კითხვები.

## სოფლად და ქალაქად

### ქ. ახალ-ხენაკი

აქ 1916 წლიდან არსებობს კოოპერატივი „ნდობა". უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში „ნდობამ" სავსებით გაუცრუვა იმედი წვრილ დემოკრატიას—სოფლის მუშებს და უფრო მსხვილი დემოკრატიის ადგილობრივ ბურჟუა-ვაჭრების და სპეკულიანტ ჩარჩების სრული ნდობა დაიმსახურეს. გლეხებს აწვდის ფხვნილ უკანასკნელ ხარისხის შაქარს იმ დროს როცა ქალაქის მცხოვრებნი სატნი, პირველი ხარისხის შაქრით არ კმაყოფილდებიან. განა ასეთია კოოპერაციის იდეა?

სურსათ-სანოვაგის კრიზისმა აქაც გაშალა ფართოდ ფრთები, სიმინდის ფქვილი 55 მანეთი ფასობს და ისიც არ იშოვება.

მაზრის კომისარი რაც შეიძლება „პატიოსნად" ასრულებს თავის მოვალეობას, თუმცა მისი განცხადების თანახმად პეტიციები მიიღებიან 10—1 საათამდე, ის არც 1 საათზე ღებულობს მოქალაქეებს. დილის 6 საათიდან საღამოს 8 საათამდე შორეულ სოფლებიდან ჩამოსული გლეხები აძაოდ უცდიან კომისარს მისადებ კაბინეთის კარებთან. „ვაის გავეყარეთ, ვუის შევეყარეთ"ო, ამბობენ გლეხები საჭიროა ყურადღება.

მთელ ბაზარში გამოცხადდა თივის რეკვიზიცია. ღარიბი გლეხები რომელნიც იმედს თივაზე ამყარებდნენ, ე. ი. თივას გავყიდი და სიმინდს ვიყიდიო, პირში ჩალა ამოვლებული დარჩნენ. მილიციონერები „ბატონ კომისარის ბრძანებით ძალით ართმევენ

ვენ გლეხებს თივას და ალაჰმა უწყის ფულს მისცემენ თუ არა, თუმცა „ყინულის თამასუქს“ კი იძლევიან.

◆ მილიციონერების თავხედობას საზღვარი არ უჩანს. ძველი რეჟიმის დამცველი ჟანდარმერია უფრო კარგად ეპყრობოდა ხალხს, ვინემ დღევანდელი „რევოლიუციონური“ მილიცია. ამას წინად მილიციონერ ს—იამ ცხენით გადაიარა 6 წლის ბავშვზე. ბავშვი ცხენმა კიდამ გასრისა. მაგრამ ბ. ს—ას ამით ოდნავ არ შეუწუხებია თავი, მხოლოდ წაილაპარაკა ჟანდარმული კილოთი: „ეტო ნიჩევო“-ო, საჭიროა ყველა ამას დროზე მიაქციონ ყურადღება, რომ მშრომელ ხალხში არ მოიკიდოს ფეხი ანარქიამ.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

სამშაბათს ივნისის 25 საღამოს 7 საათზე ქართულ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ვერის სოციალისტ-ფედერალისტთა სარაიონო კრება. წევრებს ვთხოვთ აუცილებლად გამოცხადდნენ. გასარჩევია ძლიერ საჭირო საკითხები.

—

კუკიაში მცხოვრებ პარტიულ წევრთა საყურადღებოდ აცხადებს კუკიის უბნის კომიტეტი რომ ხუთშაბათს, ივნისის 27 საღამოს სწორედ 6 საათზე დანიშნულია საუბნო კრება, დასწრება ყველა წევრისთვის სავალდებულოა.

კრება შესდგება სასულიერო სასწავლებლის შენობაში ჩერქეზიშვილის ქ. № 22.

## ექ. ვირსალაძის მოხსენება.

ივნისის, 19 ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მორიგ კრებაზე ექ. სპ. ს. ვირსალაძემ წაიკითხა მოხსენება: „უმთავრესი დებულებანი საქართველოში სასანიტარო და სამკურნალო მართვა-გამგეობისა“.

ვბეჭდავთ ამ მოხსენების ძირითად თეზისებს:

1. საქართველოს რესპუბლიკამ უნდა აღიაროს, რომ ფიზიკური ჯანმრთელობა ერის განვითარების და წინსვლელობის ძირითადი ძალაა, რომ ამ საფუძველზე არის დამყარებული ერის კეთილდღეობა და სახელმწიფოს ძლევა-მოსილება და ამისათვის ჯანმრთელობის მფარველობა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეადგენს უპირველეს სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებას და აუცილებელ მოვალეობას.

2. საქართველოს სასანიტარო და საექიმო საქმის და მის მართვა გამგეობის მოწყობის გეგმა არის დამყარებული საქართველოს სასანიტარო და საექიმო მოთხოვნილებათა შესწავლაზე და აგრეთვე უცხო მაგალითების გათვალისწინებაზე.

3. ამ დებულებათა მიხედვით სასანიტარო და საექიმო ნაწილი საქართველოში უნდა იყოს აღიარებული დამოუკიდებელ და თვითმდგომარე უწყებად, მთავარ გამგეობის ხელმძღვანელობით. სასანიტარო მთავარ გამგეობას ექვემდებარება სამოქალაქო და სამხედრო სასანიტარო, საექიმო და საკურორტო საქმეები და აგრეთვე საბეითალო ნაწილი.

4. სასანიტარო-საექიმო მთავარ გამგეობის ორგანოებია: სასანიტარო და საექიმო საბჭო, საბეითალო საბჭო, საფარმაცევტო კომისია და სახელმწიფო სასანიტარო ინსტიტუტი.

5. სახელმწიფო სასანიტარო ინსტიტუტის განყოფილებანი არიან: 1) საექიმო სტატისტიკა, 2) ჰიგიენა, 3) ბაქტერიოლოგია (პასტერის სადგურით, ყვავილის აცრული ინსტიტუტით და სეროლოგიის ქვე-განყოფილებით), 4) გადამდებ სენთა განყოფილება, 5) მალიარიის და სხვა ცხელი ქვეყნების ავადმყოფობათა განყოფილება, 6) ტუბერკულიოზის განყოფილება, 7) ვენერიულ სენთა განყოფილება, 8) ქიმიური და საკურორტო განყოფილება, 9) სასამართლო მედიცინის განყოფილება, 10) საბეითალო განყოფილება, 11) საფარმაცევტო განყოფილება (ფარმაკოლოგიით) და 12) მთავარი საწყობი სასანიტარო ავეჯეულებათა, მედიკამენტებთა და შესახვევ მასალათა.

**შენიშვნა 1.** ამ პირველ ხანებში სასანიტარო ინსტიტუტში იკმარებს რვა განყოფილებანი, რომელნიც უკვე ფაქტიურად არსებობენ: 1) საექიმო სტატისტიკა (უნდა შეერთდეს შესაფერი განყოფილებანი საოლქო სამხედრო სასანიტარო და სამოქალაქო საოლქო საექიმო გამგეობათა), 2) ქიმიური და საკურორტო განყოფილება (შეერთება ორ არსებულ ქიმიურ ლაბორატორიათა სამხედრო და სამოქალაქო უწყებაში), 3) სასამართლო ექიმობის (შეერთება სამოქალაქო უწყების ამ დარგის ლაბორატორიისა და მიხეილის სამკურნალოს პროზექტურის), 4) ბაქტერიოლოგიის განყოფილება პასტერის სადგურით (შეერთება ორ უწყებაში არსებულ ლაბორატორიათა), 5) მალიარიის სადგური, არსებული მალარიის კომიტეტთან, 6) მთავარი საწყობი სასანიტარო ავეჯეულებათა, მედიკამენტებთა და შესახვევ მასალათა (არსებული „Комитетъ санитарнаго снабженія), 7) საბეითალო და 8) საფარმაცევტო განყოფილებანი.

**შენიშვნა 2.** საექიმო ფაკულტეტის დაარსებიდან ინსტიტუტი თანდათან გახდება ორგანიულ ნაწილად ფაკულტეტისა, მის განყოფილებათა გამგებად იქნებიან პროფესორები.

6. ინსტიტუტის განყოფილებათა გამგენი იქნებიან უმაღლეს სასანიტარო და სამკურნალო საბჭოს წევრებად; წევრებად იქნებიან აგრეთვე ჯარის სასანიტარო ინსპექტორი, ტფილისის სამკურნალოთა დირექტორები, ქართველ ექიმთა საზოგადოების და საშუალო პერსონალის თითო წარმომადგენელნი.

7. საბჭოს თავმჯდომარეა ამ ნაწილის მთავარი გამგებელი, რომელსაც ჰყავს სამი თანაშემწე: ჯარის სასანიტარო ინსპექტორი, სამოქალაქო და საბეითალო ნაწილთა ინსპექტორები.

8. მთავარ-გამგეობას შეადგენენ მთავარ-გამგებელი, სამი თანაშემწე და შესაფერი კანცელარია, რომელიც საზოგადო იქნება საექიმო საბჭოს კანცელარიასთან.

9. მთავარ გამგებელი ვერავითარ კანონ-პროექტს ვერ წარმოადგენს უმაღლეს ინსტანციებში საბჭოს დაუდასტურებლად.

10. მთავარ-გამგეობის ადგილობრივი ორგანოები არიან ქალაქების და სამაზრო ერთობათა სასანიტარო საბჭოები.

**შენიშვნა 1.** თვითმართველობათა ხელში გადადის სასანიტარო პოლიცია, სასამართლო ექიმობა, სანიტართა და მკურნალობის საქმე.

**შენიშვნა 2.** არსებულნი საგუბერნიო საექიმო გამგეობანი სრულიად ისპობიან.

11. მთავარ გამგეობას ექვემდებარებიან: მიხეილის სამკურნალო საფერშლო სკოლის თურთ, საბებიო ინსტიტუტი საბებიო სკოლით, რკინის გზის ლაზარეთი, მთავარი სამხედრო გოსპიტალი საფერშლო სკოლითურთ და სურამის პსიქიატრიული სამკურნალო.

**შენიშვნა 1.** ყველა ამ დაწესებულებებს ესაჭიროება ძირითადი რევიზია და მიზან შეწონილი რეორგანიზაცია.

12. ამის გარეშე სამკურნალოების მოწყობაში ცენტრალიზმი უარყოფილი უნდა იქმნას და პირველ რიგში უნდა გაუმჯობესდეს სოფლის სანიტარული მდგომარეობა მოეწყოს სოფლებში კლინიკები იმ ანგარიშით, რომ 20,000 მცხოვრებს მაინც ჰყავდეს ერთი ექიმი და სამაზრო 30 საწოლიანი სამკურნალოები.

## განადგურებული მესხეთი და ჯავახეთი ჩვენგან შველას მოელის

ის მხარე, რომელმაც ჩვენი ერის სიამაყე, დიდებული ჰენიოსი შოთა რუსთაველი მოგვცა; ის კუთხე, სადაც მრავალი საფლავის ნანგრევი, გამოქვაბული და კოშკია, სადაც კლდეში გამოჭრილია დიდებული ვარძია თამარის სასახლით; ეს საქართველოს კუთხე, სადაც მთის წვერის კალთიდან მტკვარზე ამაყად გადმომყურავი ახალ-ციხის „მფარველ ანგელოზად“ წოდებული საფარი, სადაც შიშველ კლდეზე უპატრონოთ მიგდებ ლი ახალციხის მეორეს მხრით მცველი—დარაჯი ივლიტა, (რომელმაც ხალხის გადმოცემით ტომრის დასანგრევად შემოსეულ მაჰმედიანებს არა ერთხელ ხელები გაუშეშა და იქვე უსულოთ დაყარა); ის კუთხე, სადაც თვალწარმტაც ქობულიანის ვარდ-კოკობივით ამართული კეკლუცი ზარზმაა, რომელიც გარშემორტყმულ ქართველ მაჰმადიანებს მუდამ თავის წინაობას ახსენებს, ის მრავალ ტანჯული მხარე, სადაც თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე ყოველი ქვაც ნათლად მოწმობს და ღაღადებს მესხეთ-ჯავახეთის განცდაზე და ვაებაზე—ეს უკვდავი და საამაყო ძეგლი საქართველოს კულტურისა და დიდებისა 90 წლის შემდეგ კვლავ ჩაუვარდა ხელში იმათ, რომლებმაც ეს საქართველოს დიდებული ნაწილი ნანგრევებად აქციეს, სისხლით მორწყეს და ისე გადაარჯულეს და გადააგვარეს ჩვენი ღვიძლი ძმები, რომ მათ აი ახლა თავის საკუთარ ძმებს გულში ლახვარი ჩასცეს, ძმის სისხლით მორწყეს მშობელი მხარე და ეს ტანჯული კუთხე ჩვენი ქვეყნისა უმოწყალო ურდოებს კვლავ დაუბრუნეს.

და განა დიდებული მესხეთი და ჯავახეთი ღირსი იყო, რომ მათ ასეთი ხვედრი რგებოდა? იქმნებ, აქ მყოფ ქართველობამ, თავის სხვა კუთხის მეომარ მოძმეებს უღალატა და ბრძოლის ველიდან გაიქცა? არა!.. მან პირნათლად შეასრულა თავისი წმიდა მოვალეობა და ერთი წუთითაც პირი არ უქცევია და არ უღალატნია თავის მშობელ ქვეყნისათვის. ჯავახეთ-ახალციხის ქართველობა არ არის დაცემული და ჯერ არ დაუკარგავს თავისი წინაპრების გმირული სული, სამშობლოსათვის თავდადებული სიყვარული და მისი დაცვისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ბრძოლის სურვილი.

ეს მხარე თვეზე მეტია საშინელ განცდაში იმყოფება. ახალციხის მაზრაში და ჯავახეთში 40 სოფლიდინ ჯერ გადარჩენილია მხოლოდ ოთხი. დარბეული და აოხრებულია—მუსხი, ანდრიაწმინდა, ღრელი, კროტა, რზველი (ზურზული) არალი, უდე, მიქელწმინდა, დადეში, გოკი, ტოლოში, ხერთვისი და სხ. მრავალი სოფელი, რომლებიც საშინელ სურათს წარმოადგენენ: დანგრეული და გადამწვარია სახლები, აუარებელი ხორბალი, შინაური ოთხფეხი საქონელი და სხვა პირუტყვი სხვა ქონებასთან ერთად მტერმა გაიტაცა, შიშით მოცულნი დარბეულნი ტყეში და კლდეებში იხიზნებიან და უბინაობასთან ერთად ულმობელ სიმშილს განიცდიან, ბევრი მათგანი ულუკმაპურო, ძონძებში შეხვეულნი ზურგზე გადაკიდებულ ტომრებში ჩასმულ ბავშვებით სოფლიდან სოფელს უპატრონოთ დაეხეტებიან და თვალცრემლიანი მათხოვრობენ და ითხოვენ შველას და პატრონობას, მათი გაჭირვებული მდგომარეობა ქვასაც კი აატირებს. დიახ, ამ გვარ საშინელებას განიცდის დღეს ის კუთხე, რომელმაც მხოლოდ თავისი ძალ-ღონით მედგრათ გაუმკლავდა და ჯერაც არ დანებებია მტერს.

ახალციხე ჯავახეთის ქართველობამ რიცხვით ათჯერ და ასჯერ მეტი მტერი დიდი ზარალით არა ერთხელ უკუაქცია. პირველ მაისს, ამ დემოკრატიისათვის რევოლიუციის სადღესასწაულო დღეს, თითქოს სასაცილოთ ასაგდებ ნიშნათ, სოფ. საროსთან, თამარის ნანგრევების მახლობლად, ბრძოლის დროს ჩვენმა გმირმა ჯავახელებმა, რიცხვით 200—300 მეომარმა, რამოდენიმე ათასი მაჰმადიანი სასტიკად დაამარცხა, ხერთვისის და აპინძის სიმაგრეები ხელთ იგდო და მტერი უკუაქცია პირველი მაისის დამარცხება მაჰმადიანებს არასოდეს დაავიწყდებათ. ამ ომში მოკლული ბალა კობეშავიძე შეედარება მხოლოდ ანარიაზე თავდადებულ გმირებს—შავგულიძეს, დოლიძეს და სხ... და განა ეს მხარე ღირსია, რომ ის ასე ანაზდეულად მტერს ჩაბარდეს?.. არა, ჩემო ძვირფასნო და საყვარელნო მესხნო და ჯავახნო! თქვენ დამარცხებულნი არა ხართ... და თქვენი მტრისაგან განგმირული მეომრებიც მკვდრები არ არიან!., თქვენ მხოლოდ სხვა ფრონტზე თქვენმა მოძმეთა სისუსტემ და გაუგებრობამ დაგამარცხათ! თქვენ ღირსი ხართ ატაროთ ძველი მესხეთის სახელი „დიდებულად“ წოდებული. თქვენ, საამაყო გმირებივით იბრძოდით უკანასკნელ სისხლის წვეთამდი და თქვენ უსულო დაყრილ ძვლებზე ოსმალთა ურდოებმა ვერ შესძლეს გადავლა! აი, მაგ. აპინძის მიდამოებში, ამ ისტორიულ მიწა-წყალზე უმაგალითო გმირობა გამოიჩინეთ, მტერს ირაკლესებურად გაუმასპინძლდით და მით დაიმსახურეთ თქვენი ძველი წინაპრების სახელი... თქვენ კი, მსხვერპლად შეწირულნო, არა ხართ მკვდარნი!.. თქვენ პირნათლად შეასრულეთ თქვენი წმინდა მოვალეობა საყვარელ სამშობლოს წინაშე და დასტოვეთ სათაყვანებელ მრავალ-ტანჯულ და წამებულ მშობელ მიწის—გულზე წაუშლელი კვალი და მით აგეთ ქართველი ერის გულში ხელთუქმნელი და შეუმუსრავი ძეგლი... თქვენით მადლიერი ქართველი ერი მოწიწებით მუხლს იდრეკს თქვენი უმაგალითო გმირობის წინაშე და ბოდიშს იხდის, რომ ჩვენმა სხვა კუთხის ბურუსში მყოფ მ ძმეთა სისუსტემ და შეუგნებლობამ მხარი ვერ დაგიჭირეთ და ვერ გიპატრონეთ!

მალე მოვა ის დრო, როდესაც საჯარო ხერთვისის მიდამოებში, ისტორიულ აპინძის მახლობლად, ისე როგორც შავგულიძე—დოლიძეს და მათ გმირ ამხანაგებს, მადლიერი ქართველი ერი აგიგებთ თქვენ დიდებულ ძეგლს.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო და ძვირფასო სამშობლო მხარევ!.. შეიძლება შენი ჩამოშორების ფასი ბევრმა შენმა სხვა კუთხის მოძმემ არც კი იცის, შენ დიდმნიშვნელოვან განძათ არ მიაჩნდი და საქართველოს გერშვილად გ ყურებდნენ... მაგრამ მიუტევე: მათ არ იციან შენი დიადი ისტორიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიური მნიშვნელობა... გჯეროდეს, მალე ისინიც მიხვდებიან, თუ რა სულიერი და ნივთიერი შემოქმედების საუნჯე დაჰკარგეს... მაგრამ არა! მინდა გითხრათ ნახვამდის: ქართველი ერი ვერ დამშვიდობება და ვერ ამოგიგლეჯს თავის გულმკერდიდან, მრავალტანჯულო და ობლად დარჩენილო სამშობლო მხარევ!.. მალე განახავთ შენ... გწამდეს, რომ ამიერიდან ყველა ქართველისათვის დიდებული მესხეთი და ჯავახეთი, ისე როგორც ბათომი, გარდაიქცევა ქართველ ელზას-ლოტრენ-ვოგეზად და თავის ცენტრუსენზე“-ოთ მხოლოდ მესხეთ ჯავახეთის უკან გაბრუნებას გაიხდის.

აი ამიტომ ღირსნი არიან რომ დიდებულ მესხეთ-ჯავახეთის გმირებს მთელმა ქართველმა ერმა განურჩევლად მიმართულებისა და სარწმუნოებისა ხელი გაუწოდოს, დაეხმაროს მას, მისცეს საშუალება მტრისაგან განადგურებული სახლ-კარი შეაკეთოს და განაახლოს მივცეთ მათ სასმელ-საჭმელი, ვანუგეშოთ, არ დავტოვოთ ანაბარად და არ ჩავაგდოთ ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში რომ ისინიც ისე გადაჯულდნენ და გადაგვარდნენ როგორც ეს 90 წლის განმავლობაში მოხდა და რაც ჩვენ განვიცადეთ ახლანდელ ჩვენ ქართველ მაჰმადიანებისაგან, ჩვენ ყოფილ ძმებისაგან.

მესხეთ-ჯავახეთის მდგომარეობა თანდათან უარესდება. უკანასკნელი ბაკურიანიდან მოსული ცნობით სხვა ლტოლვილებთან ერთად ახალქალაქის, ჯავახეთის, ახალციხის არტაანის აუარებელ ქართველობას შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალე ძლივს ბაკურიანამდის მიუღწევია, გზა და გზა მათ მაჰმადიანები ხოცავდნენ, ბაკურიანის გზატკეცილი და მიდამო ტყეველი 14 ვერსის მანძილზე ცის ქვეშ უბინაოდ დარჩენილნი საშინელ განცდაში არიან. ბევრი ავადმყოფდება და უპატრონოდ კვდება. მათ მშობელ მხარეში დარჩენილი სახლ-კარი და ავლადიდება ცეცხლის ალით არის მოცული და ულმობელი მტერი ანადგურებს. მათ ჩვენსკენ მოაშურეს თავი და ჩვენგან შველას და პატრონობას თხოულობენ. [illegible] დავეხმაროთ ჩვენს ღვიძლ ძმებს-გმირებს, მესხეთ-ჯავახეთლებს, გაუშვიროთ ხელი, მივსცეთ ყოველგვარი დახმარება, ვანუგეშოთ.

ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობა და მთელი ქართველი ერი მოვალეა მიხედოს და უპატრონოს იმ ახალციხე-ჯავახეთის ქართველობას, რომელიც გაპარტახებულია და სისხლიდან დაცლილი მოელის ჩვენგან ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებას, რომ ეს საამაყო მებრძოლნი უკანასკნელი „მაგიკანების“ ოჯახობა ძალა უნებურად ისე არ მოგვშორდენ, როგორც ეს 90 წლის გაკვეთილმა დაგვანახა.

იმედია მთავრობა და ქართველი ერი ეცდება და დაამტკიცებს კიდევაც რომ ის უფრო მეტ დახმარებას, ვიდრე მან გამოიჩინა უკანასკნელ დროს გურულების მიმართ, აღმოუჩენს ახალ-ციხე—ჯავახეთის ქართველობას რომელიც მტრებმა ისე მოსწყვიტეს თავის სამშობლო დედა ქვეყანას, როგორც ძუძუმწოვარი მშობელ დედას.

საჭიროა დაუყონებლივ შესდგეს ქ. ტფილისში და სხ. დიდ ქალაქებში „მესხეთ-ჯავახეთზე მზრუნავი კომიტეტი“.

გულნატყენი.

## ტფ. ქალაქის გამგეობაში

ძრიად საყურადღებო სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობას ამ დღეებში რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად. გამგეობას ქალაქის თავმა ნ. ზ. ელიავამ საყურადღებო მოხსენება წარუდგინა განსახილველად ქალაქის თვითმართველობის საფასით ქართული ენის კურსების დაარსების საჭიროების შესახებ. ქალაქის თავმა დაასაბუთა თავისი მოხსენება იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ყველა დაწესებულებებში ნაციონალიზაცია მოხდება დღეს თუ არა ხვალ. დღესაც ძლიერი ტენდენციაა ზოგიერთ დაწესებულებებში რამდენადაც შესაძლებელია თანდათან გზა გაეხსნას სახელმწიფო ენას, ამიტომ რომ უმტკივნეულოდ მოხდეს პროცესი სახელმწიფოებრივ ნიადაგზე გადასვლის საჭიროა ქალაქის თვითმართველობამ ჯეროვანი თანხა გამოიღოს ქართულ ენის და ლიტარატურის შესასწავლად. ამ მოხსენებამ საბოლოოდ ნიღაბი ჩამოხადა ზოგიერთ ჯურის სოციალისტებს. პოპოვი მაგალითად მთელის თავის ენერგიით წინაღუდგა ბ-ნ ელიავას მოხსენებას და განაცხადა რომ ქ. ტფილისი ინტერნაციონალური ქალაქია და აქ აუცილებლად, როგორც არის საქმეთა წარმოება რუსულ ენაზე უნდა წარმოებდესო. დაშნაკცაკან-რევოლიუციონერები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. მათ მხარი დაუჭირეს პ-ნ პოპოვს და დაუმატეს უკიდურეს შემთხვევაში ქართულს თუ შემოიღებთ სომხური ენაც უნდა შემოიღოთო საქმეთა წარმოებისთვისო. კამათი ამ საკითხის შესახებ მთელი ღამით გაგრძელდა, ასე რომ გამგეობის წევრნი თითქმის ნაშუაღამევის 4 საათზე დაიშალნენ. როდესაც საკითხი გადასაწყვეტად დააყენეს ელიავას მოხსენებას ხმა მისცა მხოლოდ სამმა წევრმა გამგეობისამ, ხოლო სომხებმა და რუსებმა 6 კაცმა თავი შეიკავა.

## „საქართველოს რესპუბლიკის რუკა“

ამ დღეებში ახლად დაარსებულმა „ქართულ“ რუკათა გამომცემელმა ამხანაგობამ“ გამოსცა „საქართველოს რესპუბლიკის რუკა“ (20 ვერსიანი), რომელიც შემდგენელ-შემსწორებელ-გამომცემლებს: გიორგი გაჩეჩილაძეს და ვ. ტულულოვს, როგორც თვითონ რუკაზევეა აღნიშნული, ჯერ „შეუსწორებიათ“ (უნდა ვიგულისხმოთ არსებული ნომენკლატურა ჩვენი სამშობლოსი, რომელიც რუსეთის რეჟიმმა ჩვენში საკმაოისად შერყვნა და წაბილწა) და მერე ისე გამოუციათ.

ვნახოთ რა ღირსება-ნაკლი აქვს ჩვენი ქვეყნის ახლად გამოცემულს რუკას. თავი და თავი ნაკლი ამ რუკისა, რასაც ყველა შეამჩნევს ერთი თვალის გადავლებითვე, ისაა, რომ რესპუბლიკის საზღვრები, ჩრდილოეთის გარდა, არ არის შემოფარგლული. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები არცაა საბოლოოდ გამორკვეულ - შემოფარგლული და არც გამოირკვევა, ვიდრე სტამბოლის კონფერენცია ავად თუ კარგად არ დაამთავრებს თავის მუშაობას და არ დააწესებს ჩვენს საზღვრებს. მაშ რაღა საქართველოს რუკაა ის რუკა, როდესაც საზღვრები არ არის აღნუსხულ-ნაჩვენები!? გამოდის, რომ გამომცემლებიც ასე აჩქარებით, საზღვრების საბოლოოდ გამორკვევას, უმალ რომ ჰბეჭდავდნენ ჯერ ჩამოუყალიბებელ რესპუბლიკის რუკას ისეთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომლის სახელი იქნებ კომერციაში მოიძებნებოდეს, ხოლოთ ლიტერატურისა და მეცნიერებაში კი არა.

მკითხველის უკმაყოფილება უფრო იზრდება, როდესაც შვიდ მანეთად ღირებულ რუკის ოდნავ თვალის გადავლებაზე აჩნდება, რომ შემდგენელ-შემსწორებლებს თავიც კი არ შეუწუხებიათ არსებული რუსული ნომენკლატურა გადაეთვალიერებინათ და ცოტათი მაინც „შეესწორებინათ“. თორემ ისეთ უცნაურ კაზუს-სიურპრიზებს, აქ რომ წააწყდები, გადამახინჯებულ რუსულ ნომენკლატურაშიაც კი არ მოიძებნებიან. მაგ., სოფ. ატოცის (ქართლი) მაგიერ დაბეჭდილია **აწონი**, ფცას ნაცვლად **წნა** ახდა სოფ. ტირიფნისი რაღაც მანქანებით (უცნაური ფილოლოგია კია!) **ბერზნიანად** ქცეულა.

ამგვარად შესწორებულ სახელებს რუკაზე ბევრს ნახავთ. მათში რამდენიმეს დავასახელებთ: **ქსანკა** ქსანი; **გლადიკამკაში** კავკავი; **სტრაშნი ოკოფი** (ბოროჯომ-აწყურ შუა) დვირი; სოფ. ტასიხოჯი, ცხობილი თავის მონასტრით და ხოსს ახლო მდებარე, მოუნათლავთ **მანხოჯად**; ჩაქვისთავი—**ჩაუვიხთავად**; ნიკოწმინდა—**ნიკო (?) წმინდათ**; სუფსას მაგიერ დაუბეჭდიათ **ხუპსა**; ცაჩხანის ნაცვლად **მაშუანი**; ცაგერი ეტყობა აგარაკ წადვერის ზეგავლენით მოუნათლავთ **ცალერად**; ვაჟაფშაველას სოფელი ჩარგალი **ჩირგლად** არის გასაღებული; მდ. იორი კიდევ რუსულ **„იორა“**-დაა მონათლული, ხოლო სახელოვანი ბიქვინტა **პიწუნდა**-დ; დედოფლის წყარო, რუსულ რუკების თანახმად, უცვლელად არის **„ცარსკიე კოლოდცი“**-ად დატოვებული.

და ასეთ შეცდომათა შემდეგ გამომცემლებს მაინც კადნიერება ჰქონიათ და წაუწერიათ: შესწორებულიაო! თანაც დაუმატებიათ: გადაბეჭდვა აკრძალულიაო, ოღონდაც, ასე ლამაზად და უნაკლულოდ შესწორებულ რუკის გადაბეჭდვას ვინ არ მოისურვებს!

სიტყვამ მოიტანა და დროული იქნება გავიხსენოთ, რომ წ.-კ. საზოგადოებამ დიდი ხანია განიზრახა არა ეხლანდელ სახელმწიფოებრივ საქართველოს რუკის დამზადება და დაბეჭდვა. საამისოდ დიდი ხარჯიც გაწია, გაზეთებში [illegible] რომ მზად არისო, მაგრამ [illegible] ბით კი მის [illegible]

სამწუხარო კია: საზოგადოებაში დიდი მოთხოვნილება იყოს მართლაც სწორ და უტყუარ რუკისა, დამზადებულიც იყოს ისეთი რუკა და მის ნაცვლად უცნობ გიორგი გაჩეჩილაძის და ვ. ტუტულოვის ნამოღვაწევ რუკას შვიდ მანეთად სთავაზებდნენ!. წ.-კ. საზოგადოების საგამომცემლო სექციას ჰმართებს ამ მხრივ უქვეყლად იზრუნოს ქართველობისთვის და შეავსოს ის სერიოზული ნაკლი და ხარვეზი, რომელიც სკოლის ნაციონალიზაციის გამო აგრე მეორე წელიწადია ვერ შეუვსიათ სამშობლო გეოგრაფიის მასწავლებლებს.

## † ამხანაგ ალექსის ხსოვნას

დღეს ჩვენმა რაზმა „უკანასკნელი მშვიდობით“ უთხრა გაცივებულს და მხეცებისაგან დასახიჩრებულ ძვირფასს ცხედარს შენ, ალექსი მელუასას დღეს მოშორდა თვის საყვარელ რაზმს ის ვინც შეადგენდა მის ძარღვს! ის ვინც ხარობდა რაზმის სიხარულით და ნაღვლობდა მისი ნაღვლით! ძნელია ამის თქმა, რომ აღარ არის ჩვენ შორის ნათელი მუდამ მომღიმარე და მოცისკროვანე თვალებით სახე ალექსისა! ალარგარის დიდი პატრიოტი და გმირი ნამდვილი ქართველი მხედარი. დიდია დანაკლისი ჩვენი რაზმისთვის და ჩვენი ერისთვის განსაკუთრებით ასეთ პირად ინტერესების ბატონობის დროს როცა უთვალავ გმირთა და თავდადებულთა ქვეყანა საქართველო დღეს თითებზე ითვლის ასეთებს!!

პირადად მე ჩემო ალექსი, როგორც ამ მხრით ვგლოვობ შენ დაკარგვას, ისე მეორე მხრითაც; ამ მსოფლიო ომმა იმსხვერპლა ყველა ჩემი საუკეთესო ამხანაგები, რომელთა შორის შენ უძვირფასესი იყავი, და ჰაი, ეხლა შენც მიმუხთლე!! 1912 ხელს ერანის ცხელ ცის ქვეშ ჩვენ შევხვდით ერთ პოლკში ერთმანეთს და ძმათ გავეფიცეთ! ბევრმა გაჭირვებამ და ჩაგვრამ სხვის სამსახურში ჩვენ შეგვაერთა განუყრელად! მახსოვს შენი აღშფოთება როდესაც უსამართლოდ ჩაგვრიდნენ ქართველებს! მახსოვს შენი ფანტასტიური პლანები საქართველოს და ქართველების საშველად მოგონილები, გაიმყამები!! პოლკში სძულდი უფროსებს რომ ქართველობდი, მაგრამ უყვარდი კიდეც, როგორც შეუდარებელ ოფიცერს მხედარი. დაჰკრა ბუკმა მსოფლიო ომისამ და შენ, ჯერ კიდევ როდესაც ოსმალებთან ომი არ იყო დაწყებული გაეშურე საზღვრისკენ და, ერთი მუჭა მხედრებით შეიჭერ ურდოთ შუა.

ვიცი იბრძოდი არა იმისთვის, რომ სამშობლოსთვის ამით კარგ მომავალს უქადდი, არა! არამედ, როგორც ამაყი ქართველებისა სახელის არ გასატეხლად! ბედი არ გწყალობდა და პირველ ბრძოლაშივე დაგჭრეს მძიმედ თავის ჯარის-კაცის გამოყვანის დროს მტრულ ცეცხლიდან, როდესაც ვერვინ სხვამ ვერ გაბედა ამის ქმნა! 8 თვეს წვალობდი საავადმყოფოში და ჯილდოს მაგიერ საპყრობილეში ჩიგცეს, თუ რისათვის გადალახე ოსმალთა საზღვარი! ამის შემდეგ აღარ მოგისურვებია ფრონტზე დაბრუნება უმადურ რუსეთის სამსახურისათვის! მაგრამ როდესაც გაისმა ყიჟინა „არიქა სამშობლო იღუპება“, შენ დაუფიქრებლად დასტოვე მყუდრო ადგილი შტაბისა, დასტოვე ოჯახი პატარა შენი გოგონა და დასდექი იმ რაზმთა წყებაში, რომლებიც დაისახეს ან სიკვდილი ან თავისუფალი, შეურცხვენელი საქართველო და [illegible] აქაც ბედმა გიმუხთლა და პირველ ბრძოლებშივე დაკარგეთ შენ ძლიერ საჭიროვ და გმირი მხედარი! უკვე სხვებმა აღნუსხეს შენი აქ გმირობა, არ გავიმეორებ ვიტყვი მხოლოდ, რომ გმირობასთან ერთად [illegible] შენს თვისებას შეადგენდა მხედრული გამჭრიახობა, ნიჭი და ცოდნა, ნამდვილი უანგარო პატრიოტობა და რევოლიუციონერობა.

აწ მშვიდობით ჩემო, ძმებში განურჩეველო ძველო ამხანაგო და მეგობარო! უბედოცა ხარ და ბედნიერიც!. ბედნიერი ხარ, რომ მსხვერპლად შეეწირე თუმცა დღეს დალაჩრებულს სამშობლოს მაგრამ მაინც მარად შენთვის საყვარელ საქართველოს!..

შენისთანა ადამიანები გვაძლევენ იმედს საქართველოს არსებობისას!

მარადის უკვდავია შენი ხსოვნა ჩვენ შორის! შენს ნათელ პიროვნებას, არ დაივიწყებს არასდროს ჩვენი რაზმი, ჩვენი პარტია და გაძლევთ სიტყვას არ შევარცხვინოთ და შენი ნაანდერძევი შევასრულოთ. შენ დაიღუპე, მაგრამ გაუმარჯოს შენს თავისუფალ საქართველოს.

კაპიტანი გ. ქუთათელაძე.

პოზიცია, ივნისის 13.

# ერთი თვე—კიევიდან ტფილისში

ყოველი ჩვენგანი კიევში კარგადა გრძნობდა, რომ ამ არეულობის დროს უნდა ვყოფილიყავით იქ, სადაც ჩვენი ყოფნა აუცილებელი იყო. სადაც ჩვენ მოგვიხმობენ და სადაც სინდისი გვავალებდა ყოფნას. სოც.-ფედ. ფრაქციამ ერთხმად დაადგინა დაუყონებლივ სამშობლოში წასვლა, მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა. სარედაქციო კოლეგიამ ჟურნალ „ზარის“-ა, რომელიც იმ ხანობას გამოდიოდა, იგივე რეზოლიუცია გამოიტანა. ორივე დასახელებული ორგანიზაცია მოღალატედ და დეზერტირად აცხადებდა იმას, ვინც პირველ ორგანოთვემდე საქართველოში არ გამოემგზავრებოდა. ჩვენ კი ამ დადგენილების შემდეგ მაშინათვე სამშობლოსაკენ გამოვემგზავრეთ. ყველა ჩვენი ბარგი კიევში დავტოვეთ, რომ უფრო ადვილად გვემგზავრა. მხოლოდ თითო ჩანთა ზურგით მოგვქონდა.

უკრაინის მთავრობისაგან და გერმანელების კომენდანტისაგან, ურომლისოდაც შეუძლებელია კიევიდან გასვლა, ჩვენ ავიღეთ ნებართვა და მოწმობა, და მაისის 13, საქონლის ვაგონებში მოვთავსდით. მაგრამ მხოლოდ მეორე დილას გამოვედით კიევიდან. სულ ქართველები 50 კაცი ვიყავით. პირველად საბოლოო პუნქტად დავნიშნეთ მარიუპოლი, რომელიც აზოვის ზღვის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. სამი დღე და ღამის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ მარიუპოლში ჩავედით; იქიდან კი ზღვით ქ. ეისკში გვინდოდა გადავსულიყავით. გერმანელ კომენდანტმა არ გვირჩია მაშინათვე გადასვლა და მოგვცა წინადადება ერთი კვირა მოგვეცადნა, რომლის განმავლობაში გზა გაიწმინდებოდა და ბოლშევიკებიც ეისკიდან დაიხეოდნენ. კამათის შემდეგ გადავწყვიტეთ რამდენიმე დღე მოგვეცადნა. კიევიდან დაწყებული მარიუპოლამდე ყველა სადგურები გერმანელების ხელშია. წარწერები სადგურებზედაც გერმანული და უკრაინულია. რუსული წარწერები დაიდიხანია მოსპეს. გაიარა ექვსმა დღემ და გზა კი ზღვაზე არ იხსნებოდა. მაშინ იძულებული ვიყავით სხვა გზა ამოგვერჩია. ეს იყო ქ. როსტოვი, საითაც ჩვენ გავემგზავრეთ. მაგრამ როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც ქართული ეშელონი დავინახეთ სადგურზე, რომელიც კიევიდან თვე ბრველის შუა რიცხვებში გამოვიდა. პოლკ. ნაკაშიძის ხელმძღვანელობით. აქაც იმედები მოგვიკლეს და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდით. ქ. ბატაისკში „ბოლშევიკები“ იყვნენ და იქიდან როსტოვს ზარბაზნებს უშენდნენ. ეს ქალაქი როსტოვისაგან 7—8 ვერსით არის მოშორებული. გერმანელები და გენ. ალექსეევის პარტიზანული ჯარები თავის მხრივ „ბოლშევიკებს“ ზარბაზნებით უპასუხებდნენ. ჩვენი გაჩერება იქ სახიფათო ხდებოდა. ორი დღის შემდეგ გადავწყვიტეთ ყირიმში ჩასვლა და იქიდან შავი ზღვით საქართველოში გამომგზავრება. წამოსვლისას ჩვენ ჩამოვართვით ეროვნული დროშა და კლდესხვევები ეშელონს რომელიც როსტოვში შეგვხდა, რადგანაც ბევრი არა საკადრისი საქმეები ჩაიდინეს გზაში. გარდა ამისა ჩვენ დროშის ქვეშ ურავლესობა სხვა ერის ჯარის კაცები და მოქალაქეები მიდიოდნენ; და ეს მოვლენა ძალიან არა სასურველი იყო.

სამი დღე და ღამის შემდეგ ჩავედით ქ. კერჩში. აქ ძალიან დაგვაიმედეს, რომ პირდაპირ ფოთში მიგიყვანენ. რასაკვირველია ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ცხოვრება თანდათან აუტანელი ხდებოდა. ყოველდღე ახალი ავადმყოფი გვემატებოდა. ჯერ მარიუპოლიდან სამი ჯარის კაცი უკან დავაბრუნეთ ავადმყოფობის გამო. 7—8 დღე და ღამე ვიტანჯებოდით რაღაც პატარა ყაზარმაში. მაგრამ, როგორც ყოველთვის, აგრეთვე ჩვენ ტანჯვას ბოლო ჰქონია. 6 თიბათვეს, შემოვიდა ჩვენი ეშელონის უფროსი გ გაბიანი და სიხარულით მოგვილოცა წასვლა. მას მიღებული ჰქონდა გერმანელ კომენდანტისაგან ნებართვა ზღვაზე გასვლისა და 7 მაისს დილის 11 ს. ქ. კერჩი დავტოვეთ. ჩვენ უკვე კერჩში გავიგეთ საქართველოს დამოუკიდებლობა. გაერთიანებულმა ექსტაზით ყველამ ერთად შევძახეთ ჯერ „ვაშა საქართველოს“ და როდესაც გემი ნაპირებს დაშორდა, მაშინ სამხედრო სიმღერა:—„ბრძოლა ძანო, ბრძოლა მამაპაპური, თორემ მტრისგან გვეღუპება მამული“...

იალქნიანი გემით (მატორიანიც იყო) ფოთამდე სამი დღე და ღამე ვმოგზაურობდით. ზღვაში ბევრი საშინელი საათები გამოვიარეთ. ბევრმა იმედიც კი დაჰკარგა გადარჩენაზე და თავის მოკვლას აპირებდა მაგრამ მაინც გადავრჩით და მიწაზე ფეხი რომ შევდგით ერთი კი წამოვიძახეთ „მიწა“ და იქვე სისუსტის გამო ჩავიჩოქეთ.

ფოთშიც გერმანელები დაგვხვდნენ. ჩვენ კერჩში არ ვიცოდით და არც დავიჯერებდით გერმანელების ფოთში ყოფნას.

ზოგი ერთ ამხანაგებს მთელი ის ღამე არ დაუძინიათ და საქართველოს მდგომარეობაზე ცნობებსა ჰკრეფდნენ რკინის გზის მოსამსახურეებისაგან, მეზღვაურებისაგან და სხვებ.

გული დაგვეთუთქა ჩვენ ყველა მოვდიოდით ჯარში შესასვლელათ, ეხლა კი...

მაგრამ კიდევ იმედი არ დაგვიკარგავს. მთელი არსებით ვგრძნობთ, კეთილად წავა რესპუბლიკის საქმე თუ მისი სულის ჩამდგმელნი ბრძნულ პოლიტიკას არ დაშორდებიან.

გ. ნათაძე.

# მასწავლებელთა კურსები ქუთაისში

ორშაბათს, ივნისის 17, რეალურ სასწავლებელში ამავე სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელმა დეკ. მამა მელიტონ კელენჯერიძემ, მასწავლებელთა კავშირებთან შეთანხმებით, გახსნა კურსები ქართული ენისა, ლიტერატურისა და საქართველოს გეოგრაფია-ისტორიის შესასწავლად. კურსების გახსნას დაესწრო 30 მასწავლებელი, რომელთა რიცხვი სამი დღის განმავლობაში ავიდა 70-ზე; მსმენელებს შეადგენენ, როგორც საშუალო, ისე დაბალი და მაღალი დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლები განურჩევლად სქესისა. კურსების გახსნის დრო 3—4 დღით ადრე გამოცხადდა ადგილობრივ გაზეთებში, ამიტომ ბევრი პროვინციელი მასწავლებელი ჩამოვიდა და ჩაეწერა; მოსალოდნელია, რომ მსმენელთა რიცხვს კიდევ მოემატება და შეიქნება 100. მეცადინეობა იწყება დილის 9 საათზე და გრძელდება სრულ 12 საათამდი; ე. ი. დღეში სამ-სამი გაკვეთილია. 18 ივნისიდან მამა მ. კელენჯერიძემ უკვე დაიწყო სისტემატიურად მუშაობა: პირველად მან გააცნო მსმენელნი ენათა წარმოშობას, მათ კლასიფიკაციას, დაყოფას ოჯახებად, შტოებად და ჯგუფებად. შემდეგ გადავიდა საგრამატიკო კანონებზე. მან აღნიშნა სხვა და სხვა მწერალთა ნაწარმოებში შეცდომები სწორმეტყველების მხრით, ჩამოწერა ასეთი ადგილები და კიდევაც დაამტკიცა თავისი შეხედულობა და აზრი სხვა და სხვა საბუთებით. ამგვარად ლექტორ-მასწავლებელმა ნათლად დაანახა ყველას, თუ რამდენად აჭრელებულია დღეს ჩვენი ლიტერატურა არა კანონიერი და მცდარი გამოთქმებით. დაბოლოს მან აღიარა, რომ ქართული ენის გაწმენდა და საგრამატიკო ტერმინოლოგიის შესწორება-შემუშავება უნდა დაივალოს თავის თავზე ქართულმა უნივერსიტეტმა, რისთვისაც უნდა მოიწვიოს ცნობის მეცნიერთა და ქართველ პროფესორთა კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ერთნაირი ტერმინები და შეადგინოს ერთი გრამატიკა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოსთვის.

მოვისმინეთ გაკვეთილი ქართული ენის ლიტერატურის ძველი ისტორიიდან. მსმენელებს ყველას აქვს რვეული ფანქარით, რათა გადმოიწერონ დაფიდან გაკვეთილების საყურადღებო ადგილები და ტერმინები. საზოგადოდ ამ ორი დღის განმავლობაში მეცადინეობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა: ლექტორ-მასწავლებელი დაკვირვებით, აუჩქარებლად და ხმა მაღლა ლაპარაკობს და ყოველივე იმისი ახსნა განმარტება გასაგებია. კურსები გაგრძელდება ორ თვეს და დარწმუნებული ვარ სარგებლობას მოიტანს. კურსებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, შრომის ფასად რამდენი მისცენ მამა მელიტონს; საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე ივ. გაჩეჩილაძე წავიდა ტფილისს, რათა იშუამდგომლოს სამოსწავლო მთავრობასთან კურსებისათვის საშუალების გამოღების შესახებ; რა შედეგი მოყვება ამას, ჯერ არ ვიცით. 19 ივნისს კურსისტებმა მოილაპარაკეს და დაადგინეს:

„შეიტანონ კურსების პროგრამაში გერმანულისა და ფრანგული ენების შესწავლა, რისთვისაც მოიწვიონ ენების მასწავლებლებიც; ეს დადგენილება ეცნობოს სახალხო განათლების სამინისტროს და ეთხოვოს საშუალება“. ამის შესახებ სამოსწავლო მთავრობასთან მოლაპარაკება მიენდო დაბალი სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარეს მე თქვენს უმორჩილეს მონას. თუ შუამდგომლობამ არ გაჭრა და მთავრობამ კურსებისათვის თანხა ვერ მოგვიხერხა, იმ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მსმენელებმა დავანაწილოთ ლექტორის ჯილდო და ჩვენი დარიბი ჯიბიდან გადავიხადოთ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამოსწავლო მთავრობა გამოიღებს საშუალებას ამ საყურადღებო და მეტად საჭირო კურსებისთვის და გაეროვნებულ სკოლას საქმით გაუწევს სამსახურს, მით უმეტეს, რომ ამ არდადეგებზე თვითონ მთავრობას განზრახული აქვს ასეთი კურსების გახსნა. ამავე დღეს, საღამოს 10 საათზე, გავემგზავრე ტფილისს. მეორე დღეს, დილის 12 საათზე, ვინახული სახალხო განათლებ ს მინისტრი ბ. გიორგი ლასხიშვილი და იმისი ამხანაგი ალექსანდრე მდივანი. ჯერ შევეკითხე მათ, სახალხო მასწავლებელთა საზოგადო კურსების მოწყობის შესახებ, რაზედაც მიპასუხეს, რომ ამ არდადეგებზე გაჭირდება კურსების მოწყობა სახალხო მასწავლებელთათვის, რადგან, როგორც გამოიანგარიშეს, სჭირდება ხარჯი 200 ათასი მანეთი, ამდენივე საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კურსებს, რაც უსახსრობისა გამო შეუძლებელია ამიტომ ფიქრობენ შეადგინონ გამოცდილ მასწავლებელთაგან ე. წ. სახელმძღვანელო წრე, კომისია, რომელიც მომავალ სამოსწავლო წელში ივლის რაიონებში და ხელმძღვანელობას გაუწევს სახალხო მასწავლებლებს. შემდეგ მათ გავაცანი ქუთაისში გახსნილი კურსების ხასიათი და პროგრამა, რასაც თანაგრძნობით შეხვდა ბ. მინისტრი და წინადადება მომცა ხარჯთ-აღრიცხვა შევადგინოთ და გამოუგზავნოთ მალე; შემპირდა, თუ ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა დიდ თანხას არ შეადგენს, ყოველივე ზომებს მიიღებს, რათა საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა სახელმძღვანელო წრის მოსაწყობი თანხიდან გვარგოს ცოტა რამ, რომლითაც შესაძლებელი იქნება ლექტორების დაჯილდოება.

ლადო ბზვანელი.

# ქართული ფულის ფონდისათვის

დომენტი მაკასარაშვილისაგან ერთი ვერცხლის საათის ბუდე, 2 ვერცხლის არყის ჭიქა, 1 ვერცხლის თეფში, 1 ვერცხლის მანეთიანი და 2 ც. ათ შაურიანი.

—

ლეო რუსანოვისაგან 1 ვერცხლის საათი, 5 ვერცხლის სამ შაურიანი, 69 კაპეიკის სპილენძის ფული და 1 ტაფა სპილენძისა.

—

გიორგი კუსტუმბეგოვისაგან 1 ვერცხლის თუთუნის კოლოფი, 1 ვერცხლის სანემსე (კოლოფი), 1 გატეხილი ჩაის კოვზი, 10 ცალი თითო მანეთიანი, 2 ც. ათ შაურიანი, 11 მანეთის წვრილი ვერცხლის ფული, 1 პაწია ვერცხლის ნატეხი, 1 ოქროს ყელის ბეჭედი, 1 მ. 70 კ. სპილენძის ფული, 9 ც. ძველი სპილენძის ფული და 3 ც. თითბრის ნატეხი.

—

ნინო თხილავასაგან 2 მ. ვერცხლის ფული, №№-გან 1 ყელის ბროშკა, 1 ყელის ბეჭედი და პაწია ოქრო, ლილი ჩარკვიანისაგან 50 კაპ. ვერცხლის ფული, ნინა ჯაფარიძისაგან 1—50 ვერცხლის ფული, გ. აბულადიანისაგან 1—50 ვერცხლის ფული, ნიკ. ქურხულისაგან 3 თითო მანეთიანი ვერცხლის ფული.

—

საქართველოს რკ. ნის გზის მოხელეთა, რომელთაც შემოსწირეს ეროვნულ ფონდისათვის ვერცხლი, ოქრო და სპილენძი: ალექსან. თავდგირიძემ ერთი ოქროს ბეჭედი, ორი მანეთის ვერცხლის ფული, ნინა გალენი ორი ვერცხლის ჭიქა, ვალ. გოგიამ ერთი სპილენძის ფული, №№-მა ერთი ვერცხლის ფული 15 კ., გრ. ბელიშვილმა ოქროს ბრელოკი, გრაბოვსკაიამ გარ. 1 მანეთი მედალი. 3 კ. 50 კ., გიორგი ელიაშვილმა სამი მედალიონი ერთი ჩაის კოვზი გატეხილი, ს. ხორბალაძისაგან ვერცხლის ორ შაურიანი 82 $^{1}/_{2}$ კაპ., შავი ფული, ა. აბაშიძისაგან ბრონძის მედალი, ქელბაქიანისაგან ვერცხლის ფული 1 მანეთისა და ერთი სპილენძისა, მაჭავარიანმა 30 კაპ., ხვედაგურიძემ ერთი ლითონის მედალი, გიორგი ჩიხლაძემ ერთი მანეთიანი ერთი მედალი და ერთიც ათ შაურიანი, ბიზერმა ათი სპილენძის ფული და სამი ვერცხლის, ლ. ჩიტაძემ 15 სპილენძის ფული 6 ვერცხლის ფული 1 ვერც. კოვზი 1 ბრელოკი, გიორგი სარაჯიშვილმა 65 კ., რუბენ ხარაბაძემ ერთი მან.



გამომცემელი

სამხთ. ფირცხალავა

რედაქტორი ...

# იყიდება სპა. მეწველი ძროხ და პატარა სახლი,

ერთად, ქალაქს გარეთ. ნახვა შეიძლება 9—12 ს. და 3—6. ბელინსკის ქ. № 40 მუსიაჩენკო. კვირა დღეობით 9—1 საათამდე. 660

კბილის ექიმის

## ვ. ი. ჭიჭინაძის

კაბინეტი

ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. ჭიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.

მიხეილის პროსპ. 78. 591

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მარის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი

## დ. ვ. ჯაფახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. ... ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი

## კ. მესხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ ... 12—3 საათ. ... ქ. № 6.

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, ჭლექით, ფილტვის, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ იაკობის ქ. № 11. 426

## ქალი ე არდაზიანი

ბებიაქალი. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. ... 4—6 ს. ... ქ. 12, 9 ... 1002

ექიმი

## ქ. ლ. მალამბერიძე

იღებს საშვილოსნოს და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი

## დ. მარაშანიძე

... შინაგან და ... სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 ... ქუჩა, № 7. 2150

მედიცინის დოქტორი

მიუნხენის უნივერსიტეტისა

## ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.

შინაგანი, ბავშვებისა, სამეანო და საშვილოსნოს სნეულებანი.

ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი

## ს. ნ. მირზოევი

... ავადმყოფთა ... იღებს 4—6 ს. ... კვირისა. მისამართი: ... ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი

## ბ. მ. მუხაძე

იღებს სიფილისის ... ავადმყოფთ ... 5—6 ს. ... კვირა დღეს გარდა. მისამართი: ... ქ. № 67, ... 1080

ექიმი

## კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

# თვალის სამკურნალო

მუდმივი საწოლით

## ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

მარტის 20 გაიხსნა

# ახალი სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

## ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და კიროჩკინის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი

## შ. ა. მირცხულავა

(...) შინაგან და ... სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი

## ი. ი. ბერიშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს).

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ყოველ დღე (გარდა კვირისა)

დილით:

## „606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ვ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.

მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.

მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

საღამოთი:

ა. ნ. იბაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1016

## გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 3 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე; ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

# სოლიტერის წინაალმდეგ

(ბრტყელი ჭია)



ძირითადი საშუალება, რომლითაც 30 წლის განმავლობაში განიკურნა 10,000 მეტი ადამიანი. ეს საშუალება სამეცნიერო კვლევათა შემდეგ (საავადმყოფოებში და მკურნალთა მიერ) აღიარებულია, როგორც უძლიერესი, უსაფრთხოთ წამლით!!! დიდძალი სამადლობელო წერილები. ფასი ტფილისში 30 მან., ქალაქ გარედ—35 მან. გარეშე ქალაქებიდან მთხოვნელთ უნდა გამოგზავნონ სრული ფასი. მისამართი: Тифлисъ, Красногорская ул., № 3, Арутюну Ахназарову. იქვე იყიდება ბითუმად ლილა, ყავა (მოკკო, ეიმენ), თოკი და სხვ. ნახვა შეიძლება დილის 8—12 ს. და საღ. 5—8 ს. 668

# სავაჭრო სახლი „კომერსანტი“

კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი“-ს შემწეობით.

„კომერსანტს“ ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.

„კომერსანტი“ თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.

„კომერსანტებს“ აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიანთ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.

„კომერსანტი“-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორდოვომი“. 1160